

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №27/ნ  
2018 წლის 16 მარტი

ქ. თბილისი

## „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

### მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის №48/ნ ბრძანებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 110407029, 07/04/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430190000.22.022.016087) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების:

### 1. მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირის მიერ საგამოცდო პროცედურის დარღვევისას – მისი ნაშრომის შეფასების გაუქმების თაობაზე;“;

### 2. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. ცენტრი გასცემს ინფორმაციას მხოლოდ იმის შესახებ, გამოცდაში მონაწილე პირმა სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ატესტატის მოპოვებისთვის საჭირო საგნებში მიიღო თუ არა დადებითი შეფასება.“.

### მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი

